

პატივცემულო რექტორო.

ჩვენი ქვეყნები, ჩვენი ენები ჩვენი კულტურა, მიუხედავად იმისა, რომ განსხვავებულია ერთმანეთისგან, ჩვენ გვაქვს საერთო ადამიანური ფასეულობები და ამ ღირებულებათა ერთგულნი ვართ. არ გვიჭირს ურთიერთგაგება. ჩვენ წარმოვადგენთ თურქეთის ერთ-ერთ უნივერსიტეტს. გვიყვარს ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ერი, კაცობრიობა. ჩვენ გვინდა მეცნიერების უნივერსალური მეთოდების დანერგვით, წვლილი შევიტანოთ კაცობრიობის განვითარებაში და ჩვენი ქვეყანა ახალი ღირებულებებით, ცხოვრობდეს ღირსეულად. ამჯერად, ჩვენს ქვეყანაში, თქვენთვის ცნობილი, 2016 წლის 15 ივლისის სამხედრო გადატრიალების მცდელობის არსის ჩვენეული ობიექტური ხედვა მინდა გაგიზიაროთ:

თურქეთის რესპუბლიკა, ოსმალეთის იმპერიის დაშლის შემდეგ, 1923 წლის 29 ოქტომბერს მუსტაფა ქემალ ათათურქის ხელმძღვანელობით დაარსებულა. მოწინავე ცივილიზებული ქვეყნების ძირითადი ცნებები, როგორცაა „რესპუბლიკა, სეკულარიზმი, დემოკრატია, უფლება, კანონი და თავისუფლება,“ - ჩვენი კონსტიტუციის ძირითადი ცნებებიცაა.

დემოკრატიული წესის ფარგლებში, ეროვნული მმართველობებით, ჩვენი მიზანი ყოველთვის თანამედროვე ცივილიზაციის დონემდე ამაღლება იყო. თუმცა;

- *1960 წლის 27 მაისის სამხედრო გადატრიალებით, სამოქალაქო ხელისუფლების დამხობით შეიქმნა სამხედრო მთავრობა; იმდროინდელი პრემიერ-მინისტრი აღნან მენდერესი და ორი მინისტრი ჩამოახრჩვეს. გარდამავალი პერიოდი ხანმოკლე აღმოჩნდა, რადგან მალევე დამყარდა დემოკრატიული მმართველობა.*
- *ათი წლის შემდეგ, ამჯერად 1971 წლის 12 მარტს კვლავ სამხედრო მემორანდუმით მთავრობის ინტერვენცია შეიქმნა დემოკრატია რყევა განიცადა.*
- *ისევ ათი წლის შემდეგ, 1980 წლის 12 სექტემბერს სამხედრო გადატრიალებით შევხვდით ყველა პარტიები, ასოციაციები დაიხურა, ჩვენს ხალხს ჩამოერთვათ დემოკრატია.*
- *ჩვენმა ერმა მოთმინებით შეძლო დემოკრატიული მართველობის პრინციპებით თავიდან აეცილებინა 1997 წლის 28 თებერვლის სამხედრო ინტერვენცია. ყოველი დარტყმისას ჩვენმა ქვეყანამ დაიცვა დემოკრატიის პრინციპები და მას ცივილიზაციის გზა და მისი ღირებულებები არც ერთხელ არ დაუთმია.*
- *ბოლოს, 2016 წლის 15 ივლისს ჩვენი ერი და ქვეყანა გადატრიალების მცდელობისას მთელი მსოფლიოს წინაშე წარმოჩინდა, როგორც ერთიანი, მთლიანი სახელმწიფო.*

2016 წელის 15 ივლისი: ბოლო გადატრიალების შიდა სახე:

რა თქმა უნდა, ჩვენ არ ვაპირებთ საუბარს ჩვენი ქვეყნის ისტორიაზე. და მაინც, ჩვენი ქვეყანა და ჩვენი სახელმწიფო, 30 წელია ქვეყნის დამშლელად

შექმნილი შეიარაღებული ჰკკ (PKK) ტერორისტული ორგანიზაციით, ასევე ალ-კაიდა (El-Kaide), დაიში (DEAŞ) ტერორისტული დაჯგუფებებით, ამავდროულად სამი მილიონი სირიელი ადამიანის საცხოვრებელი უზრუნველყოფისა და უსაფრთხოების დაცვით არის დაკავებული.

გადატრიალების მცდელობები:

- *პირველად თურქეთის რესპუბლიკის საპრეზიდენტო კომპლექსის წინა ფასადის და თურქეთის პარლამენტის დაბომბვით, თურქეთის ტელერადიო მაუწყებლობის (თრტ/TRT) წართმევით, გენერალური შტაბის უფროსისა და ძალების სარდლების მძევლად აყვანითა და ხალხზე სროლით - იერიშის მიტანით, სურდათ სახელმწიფოს ხელში ჩაგდება, რომელსაც ვერ მიაღწიეს.*
- *ჩვენი პრეზიდენტი, რეჯეპ ტაიპ ერდოღანი 2016 წლის 15 ივლისს, პარასკევს, ღამით რომ დაუკავშირდა სნნ (CNN)- ის ტელევიზიას და სხვა ტელე არხებს, ჩვენი ერის დემოკრატიულობის გამო; ჩვენი ერი ქუჩებში, მოედნებზე გამოსულა და დილაიდან შეიარაღებული გადატრიალების წინააღმდეგ ბრძოლის გამბედაობა აჩვენეს.*
- *შედეგად მივიღეთ 249 მოწამე, 2196 მოხალისე და უამრავი მოქალაქე, რომლებმაც განკარგეს არსებული სიტუაცია. სამშობლოს ზვარაკთაგან 30% მოხალისე, 24% ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის კურსდამთავრებულები არიან. და როცა მათ პატივისცემით ვახსენებთ, თაყვანს ვცემთ, ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტებმა და აკადემიური პერსონალიც, მათთან ერთად, ტანკების და თვითმფრინავის ნასროლი ბომბებზე რჩებიან და სულს ტოვებენ..*

ახლა სასამართლოებში რომ ისჯებიან ისინი- ამ გადატრიალების მქნელები ან წამქეზებელებლები ფეთქულაჰისტი ტერორისტული ორგანიზაციის (ფეთო/FETÖ) წევრები არიან. სახელად ფეთქულაჰ გიულენი ერთი ავანტურისტია, ეგრეთ წოდებული სასულიერო პირი, ორმოცდაათი წელია სხვა რელიგიების და ისლამის რწმენის ლოზუნგს - „სიყვარული, მშვიდობა, ძმობა, ტოლერანტობა, დიალოგი, მოწყალება“ - ამოფარებულია და მსგავსი მნიშვნელოვანი ღირებულებების გამოყენებით საზოგადოებრივ ცხოვრებაში საეჭვო ორგანიზაცია „ოქროს თაობის,, ჩამოყალიბებით და მისი სლოგანით მოიპოვა რეპუტაცია და სახელმწიფო სისტემაშიც შეაღწია ამ მიზნით,

- *განათლების, სწავლის მოხალისეთა დახმარების საბაზით, პოზიტიური მეცნიერებების შესასწავლ სკოლებში შეტყუების მიზნით და კერძო უნივერსიტეტების გახსნით, რელიგიის ექსპლუატაციით ბიზნესმენებისგან შემოწირულობებიდან ფინანსური სარგებლის მიღებით,*
- *სახელმწიფო სისტემაში კეთილსინდისიერად განთავსებული თავისი მხარდამჭერების მეშვეობით, ოფიცრების მიღებებზე შეღწევით და შემდეგ ხელფასებიდან წილის აღებით,*
- *საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნის მიზნით სხვადასხვა ქვეყნებში სკოლების გახსნით,*

- ყველა სახის ორგანიზაციის ხელმძღვანელის მზრძანებლური მართვით და ამ ორგანიზაციისთვის მოსახმარი ბაილოკი (bylock) GSM ქსელის შექმნით,
- სამხედრო სკოლებში, უნივერსიტეტებში, გადაწყვეტილებათა მიმღებ პირთა, პოლიციაში შესასვლელთა გამოცდებში ღალატით, რომლის მსგავსი წარსულში არ ყოფილა - ისეთი გაჟონვის ხერხებით ორგანიზაციები გაეზარდათ. მასწავლებელი, აკადემიკოსი, სამხედრო ოფიცერი, პოლიციელი, სასამართლოს წევრი რომელთა ხელშია სახელმწიფოს სადავეები და ახლა გამოაშკარავდა რომ ესენი იყვნენ გადამტრიალებლები „იმამის“ (წინამძღვარი) და ჯემათის (მრევლი) სახელს ამოფარებულები.

არსებობდეს ყოველთვის დემოკრატიები!

პატივისცემული რექტორო

ის მუქარა რომელიც შეეხო ჩვენს დემოკრატიას შესაძლებელია თქვენი ქვეყნისთვის დემოკრატის საფრთხედ იქცეს. ეს წერილიც ამ მიზნით დავწერთ, რომ ორგანიზაციის ნამდვილი სახე თქვენც დაინახოთ, თქვენამდეც მივიდეს.

ერთი წელი გავიდა იმ გადატრიალების მცდელობიდან. ორგანიზაციის საზღვარგარეთ წევრები ფაქტების დამახინჯებით, გაყალბებით, ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ აგრძელებენ პროპაგანდას.

ჩვენი მოლოდინი და იმედი მდგომარეობს იმაში, რომ თქვენ ჩვენი თანამოაზრეები ხართ და ამ ორგანიზაციებისა და მისი ტყუპისცალი მოღალატეების მიმართ თქვენც კრიტიკული იქნებით. თურქეთის რესპუბლიკას არჩევნებით მოსული დემოკრატიული მთავრობა ჰყავს და ლეგალური კონსტიტუციური წესრიგის წარმმართველია.

ჩვენი უნივერსიტეტი თქვენთან თანამშრომლობას აგრძელებს და გაძლიერებისთვისაც იმუშავებს.

პატივისცემით...

პროფ. დოქტორი ნიგარ დემირჯან ჩაქარი
დუზჯეს უნივერსიტეტის რექტორი.